

პრეფერენციების გენერალიზებული სისტემა (GSP)

1968 წელს გაერთიანებული ერების ვაჭრობისა და განვითარების მეორე კონფერენციაზე (United Nations Conference on Trade and Development - UNCTAD)¹, რომელიც ჩატარდა ინდოეთის დედაქალაქ დელიში, მიღებული იქნა რეკომენდაცია საერთო პრეფერენციული სატარიფო სისტემის შექმნის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებდა განვითარებადი ქვეყნებისთვის სავაჭრო შეღავათების მინიჭებას.

პრეფერენციების გენერალიზებული² სისტემის (Generalized System of Preferences - GSP) ძირითადი არსია დახმარება ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების მხრიდან განვითარებად ქვეყნებზე მათი ექსპორტის ხელშეწყობისათვის. ამ მიზნით განვითარებული ქვეყნები პრეფერენციების გენერალიზებული სისტემის (GSP) ბენეფიციარებს ცალმხრივ საფუძველზე (საპასუხო შეღავათების მიღების გარეშე) ანიჭებენ გარკვეულ შეღავათებს საგარეო ვაჭრობაში. კერძოდ, ისინი აწესებენ მოსარგებლე ქვეყნებიდან ექსპორტირებულ საქონელზე საბაზო განაკვეთებთან შედარებით საიმპორტო ტარიფის შემცირებულ განაკვეთებს, რაც აადვილებს განვითარებადი ქვეყნების საქონლის შეღწევას განვითარებული ქვეყნების ბაზარზე. ფაქტიურად ეს არის სავაჭრო პოლიტიკა, რომლის მეშვეობით განვითარებული ქვეყნები ხელს უწყობენ განვითარებად ქვეყნებს, რათა მათ შეძლონ თავისი ექსპორტის განვითარება და სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების არეალის გაფართოება.

დელის კონფერენციაზე მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ გენერალიზებული, ხელსაყრელი, არა-დისკრიმინაციული პრეფერენციების სისტემა

¹ UNCTAD შეიქმნა 1963 წელს როგორც მუდმივმოქმედი სამთავრობათაშორისი ორგანო, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ძირითად ორგანოს წარმოადგენს ვაჭრობის და ინვესტიციების საკითხებში. მასში გაწევრიანებულია 190-ზე მეტი ქვეყანა.

² ზოგიერთ წყაროში მითითებულია ტერმინი “განზოგადებული”

მიზნად ისახავს, რომ ხელი შეუწყოს განვითარებად და ნაკლებად განვითარებად ქვეყნებს, რათა გაიზარდოს ამ ქვეყნების საექსპორტო პოტენციალი, ეროვნული წარმოება და დაჩქარდეს ეკონომიკური ზრდის ტემპები.

GSP სქემა თავდაპირველად ევროკავშირმა განახორციელა 1971 წელს. 1974 წელს განვითარებადი ქვეყნებისთვის სქემა დანერგა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და შედეგად, 2006 წლის მონაცემებით, აშშ-ში 140 განვითარებადი ქვეყნიდან 4600 პროდუქტზე მეტი შედიოდა საბაჟო გადასახადის გარეშე. 2005 წელს სისტემის ფარგლებში აშშ-ში იმპორტირებული იქნა 24.5 მილიარდი აშშ დოლარის პროდუქცია, მათ შორის მნიშვნელოვანი წილი მოდიოდა საწვავზე, ავტოსათადარიგო ნაწილებზე, საიუველირო ნაწარმზე და ავეჯზე. აშშ-ს GSP-ით მოსარგებლე 10 ძირითადი ქვეყანაა: ინდოეთი, ანგოლა, ბრაზილია, ტაილანდი, ინდონეზია, ეკვადორული გვინეა, თურქეთი, სამხრეთ აფრიკა, ფილიპინები და ვენესუელა.

GSP სქემის მხარდამჭერები ფიქრობენ, რომ კერძო კომპანიების ვაჭრობის ხელშეწყობა გაცილებით დიდი სტიმულია ეკონომიკის განვითარებისთვის, ვიდრე მთავრობებს შორის დახმარება და აქიდან გამომდინარე, GSP მნიშვნელოვანი სარგებლის მომტანია განვითარებადი ქვეყნებისთვის. რადგან, ეს ყველაფერი იწვევს მოსარგებლე ქვეყნების ექსპორტის ზრდას პრეფერენციების გამცემ განვითარებულ ქვეყნებში.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ GSP სქემას ჰყავს მოწინააღმდეგეები, რომლებიც ფიქრობენ, რომ GSP-ით განსაზღვრული ტარიფის შემცირება იწვევს სქემით მოსარგებლე ქვეყნების არაკონკურენტუნარიანი მწარმოებლების აქტიურად ჩაბმას ვაჭრობაში და სერიოზულ კონკურენციას უწევენ სხვა, სქემით არამოსარგებლე ქვეყნების უფრო ძლიერ და კონკურენტუნარიან მწარმოებლებს. შეიძლება ითქვას, რომ გარკვეულწილად ზარალებიან არამოსარგებლე ქვეყნების მწარმოებლები, რადგან მათ უჭირთ პრეფერენციების გამცემი ქვეყნის ბაზარზე საკუთარი პოზიციების შენარჩუნება, რაც თავის მხრივ აზარალებს პრეფერენციების გამცემი ქვეყნების მომხმარებლებს.

გარდა ამისა, პრეფერენციების სისტემამ შეიძლება ნეგატიური გავლენა მოახდინოს მოსარგებლე ქვეყნის მწარმოებლურობაზე, რადგან შეიძლება გამოიწვიოს

ამ ქვეყნებში ისეთი საქონლის ექსპორტის წახალისება, რომელშიც ქვეყანას არ გააჩნია შედარებითი უპირატესობა, რამაც თავის მხრივ, შეიძლება დაარღვიოს ქვეყნის შიდა რესურსების მობილიზაცია და გადანაწილება.

დღეისათვის მსოფლიოში მოქმედებს GSP-ის პრეფერენციების გამცემი 13 ეროვნული სქემა – ავსტრალია, ბელორუსი, ბულგარეთი, კანადა, ესტონეთი, ევროკავშირი, იაპონია, ახალი ზელანდია, ნორვეგია, რუსეთის ფედერაცია, შვეიცარია, თურქეთი და ამერიკის შეერთებული შტატები.

ევროკავშირის GSP სქემა

როგორც ზემოთ აღინიშნა, 1971 წელს ევროკავშირმა პირველმა განახორციელა GSP სქემა. პირველმა სქემამ იმოქმედა 1971-1980 წლებში და ძირითადად გავრცელდა სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე და ნახევარფაბრიკატებზე. მეორე სქემამ მოიცვა 1980-1990 წლები და გავრცელდა გადამამუშავებელ სექტორზე და მგრძობიარე სამრეწველო პროდუქციაზე. ხოლო მესამე სქემა განხორციელდა 1995-2004 წლების პერიოდში და საქონლის უფრო ფართო სპექტრი მოიცავდა.

ევროკავშირის GSP არის ყველაზე ფართოდ გამოყენებული სისტემა სხვა GSP სქემებთან შედარებით. დღეისათვის, ევროკავშირში GSP-ით მოსარგებლე ქვეყნებიდან იმპორტი გაცილებით მეტია ვიდრე GSP-ის რეჟიმში მოქცეული იმპორტის ოდენობა აშშ-ში, კანადასა და იაპონიაში ერთად აღებული. 2003 წლის მონაცემებით GSP-ით ევროპაში იმპორტირებული იქნა 52 მილიარდი ევროს ღირებულების იმპორტი, მაშინ როდესაც ანალოგიური მაჩვენებელი აშშ-ში წარმოადგენდა 16 მილიარდ ევროს. 1999-2003 წლებში ევროკავშირში განვითარებულ ქვეყნების იმპორტის წილი ევროკავშირის მთლიან იმპორტში 33-დან 40 პროცენტამდე გაიზარდა. 2004 წლისთვის ევროკავშირის GSP-ით მოსარგებლე ძირითადი ქვეყნები იყვნენ ინდოეთი, ჩინეთი და ბრაზილია.

2005 წლისთვის ევროკავშირს გააჩნდა GSP ხუთი სქემა. ძირითადი სქემა ფარავდა დაახლოებით 7000 სახის პროდუქციას, რომელთაგან 3700 მგრძობიარეა, ხოლო დანარჩენი 3300 არამგრძობიარე. არამგრძობიარე პროდუქცია მთლიანად

განთავისუფლდა საბაჟო გადასახადისგან, მაშინ როდესაც მგრძნობიარე პროდუქციაზე ხდებოდა 3.5 პროცენტის შემცირება უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის (Most Favoured Nations-MFN)³ ტარიფიდან.

შემდეგი ორი სქემა აწესებდა დამატებით შეღავათებს დასაქმებულთა უფლებების და გარემოს დაცვითი სტანდარტების აღიარებაზე.

მეოთხე სპეციალური GSP სქემა მიმართული იყო ნარკოტიკების და ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაზე. ამ სქემით სარგებლობდნენ როგორც ცენტრალური და ლათინური ამერიკის ქვეყნები, ასევე პაკისტანი. ძირითად სქემასთან შედარებით გაცილებით მეტი იყო (დაახლოებით 7200) იმ საქონლის ჩამონათვალი, რომელსაც ეს სქემა მოიცავდა. სქემა ითვალისწინებდა საბაჟო გადასახადისგან განთავისუფლებას.

მეხუთე სქემა (“ყველაფერი იარაღის გარდა”) განკუთვნილი იყო დაბალ განვითარებული ქვეყნებისთვის. ეხმარებოდა მსოფლიოს 50 უღარიბეს ქვეყანას და საბაჟო გადასახადისგან ათავისუფლებდა მათ ექსპორტს ნებისმიერ პროდუქციაზე, გარდა იარაღისა და საბრძოლო მასალებისა.

ევროკავშირის ახალი GSP სქემა

2004 წლის 20 ოქტომბერს ევროკომისიამ შეიმუშავა პრეფერენციების განახლებული გენერალიზებული სისტემა (GSP+), რომელიც 2006-2008 წლებში იმოქმედებს. ამ სისტემამ ძველი, 2005 წლის სისტემა ჩაანაცვლა.

დღესდღეობით ევროკავშირი ახორციელებს განახლებულ, ბევრად უფრო მარტივ, გამჭვირვალე და სტაბილურ სისტემას. ახალი GSP უცვლელი იქნება 2008

³ უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი, **Most Favoured Nation (MFN)**, აშშ-ში მას აგრეთვე უწოდებენ ნორმალურ სავაჭრო ურთიერთობებს. ეს არის ერთი ქვეყნის მიერ საერთაშორისო ვაჭრობაში მეორისადმი მიცემული სტატუსი, რომელიც გულისხმობს შეღავათიან სატარიფო პოლიტიკას. უფრო ზუსტად, ქვეყანა არ დაბეგრავს მეორე ქვეყანას სხვებთან შედარებით უარესი პირობებით. მაგალითად, MFN მთავარი წარმართველი ფაქტორია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრებისთვის, ითვალისწინებს რა ვმო-ს წევრი ქვეყნებისთვის განსხვავებულ დაბალ საბაჟო ტარიფებს

წლამდე, რაც იმპორტიორთა და ექსპორტიორთათვის სტაბილურ და პროგნოზირებად გარემოს უზრუნველყოფს. პერიოდის ბოლოსთვის პრეფერენციების მინიჭება გადახდილი იქნება თითოეული ქვეყნის განვითარების მდგომარეობის და საჭიროების შესაბამისად.

ამჟამად მოქმედებს სამი სქემა:

- ძირითადი სქემა: პროდუქციის რაოდენობა გაიზარდა 7200-მდე და აერთიანებს დამატებითი 300 სახის პროდუქციას (უმეტესად სასოფლო-სამეურნეო და ზღვის პროდუქცია);
- ჩამოყალიბდა ახალი გენერალიზებული პრეფერენციული სისტემა (GSP+) არამდგრადი ქვეყნებისთვის, რომლებსაც დაახლოებით 7200 სახის პროდუქტის ევროკავშირის ბაზარზე საბაჟო გადასახადის გარეშე შეტანის საშუალება ექნებათ. მოსარგებლე ქვეყანამ უნდა შეასრულოს მთელი რიგი ვალდებულებები, კერძოდ უნდა მოახდინოს მდგრადი განვითარების და ეფექტური მმართველობითი სიტემის 27 ძირითადი კონვენციის რატიფიცირება;
- სქემა - “ყველაფერი იარაღის გარდა” დარჩა უცვლელი.

ახალი GSP+ სქემა გათვალისწინებულია არამდგრადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის (Vulnerable Countries), რომლებსაც ესაჭიროებათ განვითარებისათვის განსაკუთრებული დახმარება. ამ სისტემით სარგებლობისთვის ქვეყნებმა უნდა აჩვენონ, რომ მათი ეკონომიკა არასაკმარისად დივერსიფიცირებულია, დამოკიდებული და არამდგრადი. არასაკმარისად დივერსიფიცირებული ნიშნავს იმას, რომ ევროკავშირისაში გენერალიზებული სისტემით ხუთ უმსხვილეს სექტორში განხორციელებული იმპორტის მოცულობა უნდა შეადგენდეს GSP-ით განხორციელებული იმპორტის საერთო მოცულობის 75 პროცენტზე მეტს.

გარდა ამისა, არის კიდევ ორი მოთხოვნა. პირველი – ქვეყნიდან იმპორტი უნდა შეადგენდეს ევროკავშირში პრეფერენციების განზოგადოებული სისტემით განხორციელებული იმპორტის საერთო მოცულობის არაუმეტეს 1 პროცენტისა. და მეორე, როგორც უკვე აღინიშნა, მოსარგებლე ქვეყანამ უნდა მოახდინოს ადამიანის უფლებების და შრომის უფლებების დაცვის მარეგულირებელი 16 ძირითადი კონვენციის და ეფექტური მართვის და გარემოს დაცვის სფეროს (11-დან) 7

კონვენციის რატიფიცირება და ეფექტური განხორციელება. ამავე დროს ბენეფიციარმა ქვეყნებმა უნდა იკისრონ იმ საერთაშორისო კონვენციების რატიფიცირებისა და ეფექტური განხორციელების ვალდებულება, რომლებიც ჯერ არ არის მათ მიერ რატიფიცირებული. ნებისმიერ შემთხვევაში, 2008 წლის 31 დეკემბრამდე ყველა ბენეფიციარმა ქვეყანამ უნდა მოახდინოს 27-ვე კონვენციის რატიფიცირება.

როგორც უკვე აღინიშნა, GSP+ მოიცავს დაახლოებით 7200 დასახელების პროდუქციას, რომლებიც ევროკავშირის ბაზარზე დაიშვა საბაჟო გადასახადების გარეშე.

შესაძლებელია სქემიდან ამოღებული იქნას რომელიმე საქონელი, თუ ის კომპეტენტური გახდება ევროკავშირის ბაზრისთვის. ეს იმას ნიშნავს, რომ მსგავს პროდუქციას აღარ სჭირდება GSP-ის ფარგლებში საექსპორტო ხელშეწყობა. პროდუქციის სისტემიდან ამოღება არ ნიშნავს რაიმე სახის სანქციას ან ჯარიმას, არამედ, ნიშნავს იმას, რომ გენერალიზებული პრეფერენციის სისტემამ თავისი ფუნქცია შეასრულა ამა თუ იმ ქვეყანასთან და პროდუქტთან მიმართებაში. ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ GSP ეხმარება შედარებით სუსტ ქვეყნებს და ხელს უწყობს მათ ინტეგრაციას საერთაშორისო ვაჭრობაში.

GSP საქართველოსთვის

საქართველო ევროკავშირის GSP სქემით სარგებლობს 1995 წლიდან. იმავე წელს გავხდით შვეიცარიის, კანადის და იაპონიის GSP სქემის ბენეფიციარები.

ხოლო რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, საქართველო აშშ-ს GSP-ით სარგებლობს 2001 წლიდან, მას შემდეგ რაც აშშ-მ გააუქმა ეგრედ წოდებული "ჯექსონ-ვენის შესწორება"⁴ და დაადასტურა საქართველოს ეკონომიკის, როგორც საბაზრო ეკონომიკის სტატუსი.

2002 წელს თურქეთმაც მიანიჭა საქართველოს GSP სქემით განსაზღვრული შეღავათები.

⁴ Jackson-Venik შესწორება მიღებული იქნა 1974 წელს და მან დააწესა შეზღუდვები ვაჭრობაში ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებთან.

2005 წლის 27 ივნისს ევროკავშირის საბჭომ მიიღო რეგულაცია №980/2005, რომლის მიხედვითაც, 2005 წლის 1 ივლისიდან, ევროკავშირის პრეფერენციათა განახლებული გენერალიზებული სისტემა “GSP+” ამოქმედდა და სხვა ქვეყნებთან ერთად საქართველოზეც გავრცელდა. საქართველომ სხვა ბენეფიციარებთან ერთად დააკმაყოფილა ზემოთ ჩამოთვლილი 3 კრიტერიუმი.

ეს მეტად მნიშვნელოვანი გარემოებაა, ვინაიდან თუ ძველი სქემით საქართველოს ეძლეოდა შესაძლებლობა ევროკავშირის ბაზარზე უბაჟოდ შეეტანა მხოლოდ 3300 დასახელების პროდუქცია და 6900 საქონელზე მოქმედებდა მხოლოდ გარკვეული შეღავათები, GSP+-ის ბენეფიციარის სტატუსის მიღების შემდეგ საქართველოს მიეცა საშუალება ევროკავშირში უბაჟოდ შეიტანოს 7200 პროდუქციის ჩამონათვალი.

საქართველოს გარდა GSP+-ის მიმღები ქვეყნებია: ბოლივია, კოლუმბია, კოსტა რიკა, ეკვადორი, გვატემალა, ჰონდურასი, შრი-ლანკა, მოლდოვა, მონღოლეთი, ნიკარაგუა, პანამა, პერუ, სალვადორი და ვენესუელა. ხაზგასასმელია, რომ საქართველოს გარდა ევროკავშირის პრეფერენციათა განახლებული გენერალიზებული სისტემა “GSP+” დსთ-ს სივრცეში მხოლოდ მოლდოვაზე ვრცელდება. ბუნებრივია, რომ ეს ყველაფერი დადებითად იმოქმედებს საქართველოში დამატებითი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პერსპექტივაზე.

ევროკავშირის ბაზრებზე საქართველოს შეუძლია უბაჟოდ შეიტანოს ისეთი საქონელი, როგორცაა თხილი, კაკალი, ღვინის ძმარი, ნატურალური თაფლი, ზოგიერთი უალკოჰოლო სასმელი, ასევე სხვადასხვა დასახელების სამრეწველო პროდუქცია, მაგალითად, ამონიუმის გვარჯილა. ახალი სქემის შესაბამისად, სოფლის მეურნეობის საქონელის ჩამონათვალი საგრძნობლად გაფართოებულია და გაზრდილია ისეთი პროდუქციის ასორტიმენტი, როგორცაა თევზის ნაწარმი, სხვადასხვა ბოსტნეული, ხილი, სუნელები.

ხოლო რაც შეეხება კონკრეტული საქონლის ჩამონათვალს, GSP+ სქემა ითვალისწინებს ზოგიერთი ისეთი პერსპექტიული პროდუქციის ექსპორტს როგორცაა: სხვადასხვა სახის ხილისა და ბოსტნეულის კონსერვები, ნატურალური თაფლი, ბოსტნეული, თხილი და კაკალი, საზამთრო, კომში, მინის ჭურჭელი (ლოქები,

სურები, ქილები, ბოთლები და სხვ.), ტექსტილის ნაწარმი, ფეხსაცმელი, ცემენტი, დაფნის ფოთოლი, ძმარი და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის პრეფერენციათა სქემით გათვალისწინებულია საქონლის ფართო ჩამონათვალი, იგი არ ფარავს საქართველოსთვის ისეთ მნიშვნელოვან პროდუქციას, როგორცაა ღვინო.

აღსანიშნავია, რომ 2006 წლის 1 იანვრიდან ახალი პრეფერენციების სისტემა თურქეთმაც გაავრცელა საქართველოზე (იმის გათვალისწინებით, რომ თურქეთის კანონმდებლობა მაქსიმალურად არის ჰარმონიზებული ევროკავშირის კანონმდებლობასთან), თუმცა აღნიშნული სისტემა არ მოიცავს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას.

გამოყენებული წყაროები:

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო; www.economy.ge;

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო; www.mfa.gov.ge;

გაერთიანებული ერების ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის ოფიციალური ვებ-გვერდი, <http://www.unctad.org>;

იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი, <http://www.mofa.go.jp>;

ევროპის კომისიის ოფიციალური ვებ-გვერდი, <http://ec.europa.eu>;

ევროკავშირის ოფიციალური ვებ-გვერდი, <http://europa.eu>;

ევროპარლამენტის ოფიციალური ვებ-გვერდი; <http://www.europarl.europa.eu>;

European Union, “GSP: The new preferential market access system for developing countries”, June 23, 2005

William H. Cooper, “Generalized System of Preferences”, Report for Congress, Congressional Research Service, The Library of Congress, March 30, 2006

United Nations Conference on Trade and Development (UNCTAD), “Generalized System of Preferences, List of Beneficiaries”, June 22, 2001